აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი ირაკლი ჩავლეიშვილი

2023 წლის საგაზაფხულო სესიიდან 2024 წლის საგაზაფხულო სესიამდე
გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკანონმდებლო საქმიანობა

ჩემი ინიციატივით შევიდა ცვლილება რეგლამენტში, რომლის მიხედვითაც- უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრს აქვს სამართლებრივი შესაძლებლობა, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე საკითხების განხილვის პროცესში სიტყვით გამოვიდეს და საკუთარი პოზიცია წარმოადგინოს სხდომათა დარბაზში პრეზიდიუმთან განთავსებული ტრიბუნიდან.

ასევე ჩემი ინიციატივით , ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთში მდებარე საგზაო დეპარტამენტის კუთვნილ შენობას , მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და იგეგმება მისი რეაბილიტაცია.

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ვახორციელებდი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქმიანობას: კომიტეტის წევრებთან ერთად ვმუშაობდი წარმოდგენილი საკანონმდებლო საკითხების განხილვაზე, ვიხილავდი საქართველოს პარლამენტიდან გამოგზავნილ განათლების, მეცნიერების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ კანონპროექტებს.
უფლებამოსილების ფარგლებში, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და სახელმწიფო პრიორიტეტებიდან გამომდინარე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის წევრებთან ერთად, ვმონაწილეობდი - საზედამხედველო საქმიანობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებზე კონტროლის განხორციელებაში.

ვმონაწილეობდი საანგარიშო პერიოდში ჩატარებული კომიტეტის თორმეტივე სხდომაში, სადაც განხილული იქნა 17 საკითხი; მივიღე 2 მოქალაქე.

საზედამხედველო საქმიანობა

ჩემი ინიციატივით დაიწყო თემატურ მოკვლევა თემაზე - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა“.
მოკვლევის ფარგლებში ვესწრებოდი ორ გასვლით სხდომას. ვმონაწილეობდი რეკომენდაციების შემუშავებაში.

საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში, კომიტეტის წევრებთან ერთად, მოვისმინე:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშები;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიში;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების ანგარიში; ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი და ბიუჯეტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის (2024-2027 წლების) პრიორიტეტების დოკუმენტი;

კომიტეტის სხდომაზე მოვისმინე:

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კულტურის მიმართულებით გაწეული საქმიანობის ანგარიში;

- ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის ხელმძღვანელის - სულიკო თებიძის ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ;

- სს(ი)პ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორის თეონა ზოიძის ინფორმაცია წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და სამუზეუმო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გაწეული ღონისძიებების შესახებ;

- სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ 2022 -2023 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

ი. ჩავლეიშვილი